



15/05/2024



№ 00000547

ბრძანება №547

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

02.11.2017 წელს დამოწმებული (სანოტარო მოქმედების რეგ. N A171287872) შპს „თეგეტა აკადემიის“ წესდებისა და 7.1, 7.3 და 7.7 მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს „თეგეტა აკადემიაში“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა ახალი რედაქციით წინამდებარე ბრძანების დანართი №1; №2; №3; №4; №5; №6; №7; №8; №9; №10; №11; და №12 - ის შესაბამისად.
2. დაევალოს შპს „თეგეტა აკადემიის“ საქმისწარმოების სპეციალისტს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.
3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

შპს "თეგეტა აკადემია"
დირექტორი
სიხარულიძე ოთარი



ზოგადი დებულებები

საქართველოს კანონი "განათლების ხარისხის განვითარების" შესახებ განსაზღვრავს მექანიზმების სახეებს, რომლებიც გამოიყენება ხარისხის უზრუნველსაყოფად საქართველოში. ეს მექანიზმები იყოფა ორ ჯგუფად: შიდა და გარე მექანიზმებად. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმია ავტორიზაცია. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. ამ მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი კოორდინირებულად ახდენენ აკადემიის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას, ხოლო შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით აკადემიის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით - გადაწყვეტილებების მიღებას.

შპს „თეგეტა აკადემიის“ (შემდგომში - “აკადემია”) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს აკადემიის მისიით განსაზღვრული სასწავლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით აკადემიის მიერ შემუშავებული დებულებების, წესების, პროცედურებისა და მექანიზმების ერთობლიობას. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის კომპონენტების საშუალებით აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერი სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან/წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, აკადემიის როგორც ქ. თბილისის (დ. აღმაშენებლის ხეივანი N129), ასევე, პერიოდულად, წინასწარ დაგეგმილ ვადებში, ქ. ბათუმის (გაგრინის ქუჩა N1) და ფოთის (ლარნაკას ქუჩა N2) მისამართებზე, სისტემატურად ახორციელებს პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, გადახედვას და გაუმჯობესებას. აკადემია მჭიდროდ თანამშრომლობს შესაბამის სამსახურებთან (საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, პროფესიული უნარების სააგენტო) ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი რეალიზების წესების ჩამოყალიბების მიზნით.


შეფასების შედეგების საფუძველზე აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერი სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ და აღნიშნული საქმიანობის განვითარების მიზნით წარუდგენს აკადემიის სათანადო სტრუქტურულ ერთეულებს რეაგირებისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ძირითადი მიზნები და პროცესები

ხარისხის შიდა უზრუნველყოფა (შემდგომში - ხარისხის უზრუნველყოფა) და მისი მექანიზმები გამოიყენება აკადემიის საქმიანობის, რესურსების, შეთავაზებული სერვისების უწყვეტი შეფასებისა და განვითარებისთვის ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანია შეაფასოს:

- ა) აკადემიაში მიმდინარე პროცესების ეფექტიანობა;
- ბ) რესურსების ეფექტიანი გამოყენება;
- გ) არსებული რეგულაციების გამართულობა, მოქნილობა და კანონმდებლობასთან შესაბამისობა;
- დ) აკადემიის საქმიანობის შესაბამისობა დადგენილ რეგულაციებთან/სტანდარტებთან.

აქედან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს პროცესების იდენტიფიცირებას, დაგეგმვას, განვითარებას, წლიური მონიტორინგის გეგმის შედგენას, მონიტორინგის განხორციელებას და პროცესების შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფა უკავშირდება აკადემიაში მიმდინარე ძირითად და დამხმარე პროცესებს, ამ პროცესების სისტემურ შეფასებას, არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენას, ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვას, განხორციელებას, განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვებას, კვლავ აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების გადადგმას. ამ პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს „დაგეგმე-განხორციელე-შეამოწმე-განავითარე“ დემინგის ციკლის შესაბამისად (სურ. 1).



აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:

- **PLAN** (დაგეგმე) - გულისხმობს: მიზნისა და მიზნის მისაღწევი პროცესების განსაზღვრას; ინსტიტუციური ელემენტების შემუშავებასა და განვითარების პროცესების დაგეგმვას: მისიისა და ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას, სტრუქტურული ელემენტების განსაზღვრას, პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების შემუშავებას, განსახორციელებელ სამუშაოთა გრაფიკის შემუშავებასა და მათ გამოცხადებას (გაცნობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის); სტრუქტურული ერთეულების მიერ პროცესების განხორციელების დაგეგმვას.

- **DO** (განახორციელებ) - გულისხმობს პროცესის (ღონისძიებების) განხორციელებას; -დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას შემუშავებული და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად; ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ძირითადი და დამხმარე პროცესებით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას.

ა) ძირითადი პროცესები:

- სტრატეგიული დაგეგმვა;
- პროგრამების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების) შემუშავება/დანერგვა/განვითარება;
- სწავლა/სწავლების პროცესის ორგანიზება/მონიტორინგი;
- სტუდენტთა/მსმენელთა კორპუსის მართვა;
- ხარისხის უზრუნველყოფა და მართვა;
- უსაფრთხოება, წესრიგისა და ჰიგიენის ნორმების დაცვა;
- საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);

ბ) დამატებითი პროცესები

- ადამიანური რესურსების მართვა;
- მატერიალური რესურსის მართვა;
- საინფორმაციო რესურსები/საზოგადოებასთან ურთიერთობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ფინანსური რესურსის მართვა;
- მართვის პროცესები;
- პროფორინტაცია და კარიერული განვითარება;
- საბიბლიოთეკო სერვისების განვითარება;

მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნას:

- საჭიროებების/კმაყოფილების კვლევები (პერსონალის, სტუდენტების/მსმენელები);
- შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისობაში მოყვანა;
- კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- კვალიფიკაციის შესაბამისობის კონტროლი;
- გზამკვლევების შემუშავება;
- საკომუნიკაციო საშუალებების ეფექტურად გამოყენება სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად (ვებგვერდი, სოციალური ქსელები, სასწავლო პროგრამების კატალოგი, აკადემიის ოფიციალური ელ.ფოსტა, სხვა საკომუნიკაციო არხები);
- კარიერული სერვისების შეთავაზების პოლიტიკის განსაზღვრა;
- კურსდამთავრებულთა ბაზის ფორმირება გამოკითხვა/შედეგების გაანალიზება;
- მატერიალური რესურსის მოხმარებასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზის შექმნა (მასალის და ნედლეულის შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის, ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის, პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესები და მექანიზმები) აქტივობების შესაბამისი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის უზრუნველსაყოფად საჭირო ფინანსური რესურსები;
- საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, პრაქტიკულ მეცადინეობებზე დაკვირვება და ამ პროცესის შესაბამისი ჩეკლისტების შემუშავება;
- და სხვა;

▪ **CHECK** (შეამოწმე) - მიმდინარე პროცესსა და მიღებულ შედეგებზე მონიტორინგს, მიღწეული შედეგების შესაბამისობას დასახულ მიზანთან;

„შეამოწმე“ გულისხმობს აკადემიის თვითშეფასებას, მიზნობრივი მონაცემების შეგროვებას და მონაცემთა ანალიზს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასებას. ასევე, სამოქმედო გეგმის ყოველწლიური ანგარიშგების სისტემის ჩამოყალიბებას; გარდა ამისა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას, რომელიც თავის თავში მოიცავს თვითშეფასებას, სასწავლო პროცესში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ სწავლისა და სწავლების დონის ამაღლების მიზნით შესრულებული სამუშაოს, სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხის შემოწმებას, მიზნობრივი მონაცემების შეგროვება (პერსონალზე დაკვირვება და საქმიანობის შეფასება; დაინტერესებული მხარეების წრის განსაზღვრა და ანალიზი, ღია შეხვედრები) და სხვა;

აკადემიის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, მიგნებები, ანალიზი, შეფასებები ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ეცნობება დაწესებულების

ხელმძღვანელს/პერსონალს. შემოწმების მიზანია დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

- **ACT** (იმოქმედე/განავითარე) - გულისხმობს:
 - შესრულების პროცესის მუდმივ სრულყოფას;
 - განხორციელებული პროცესების გადახედვა-გაუმჯობესებას; შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზების დადგენას, მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას, ანალიზის შედეგების გამოყენებას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;
 - წარმატებისა და წარუმატებლობის გამომწვევი ფაქტორების დადგენას;
 - წარუმატებელი ფაქტორების გარდაქმნას გაუმჯობესების გეგმად;
 - მაკორექტირებელი გეგმის შემუშავებას;
 - მომავალი სამოქმედო გეგმის შემუშავებას;

აკადემიაში პროცესების დროულად ეფექტურად უზრუნველყოფა დამოკიდებულია მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების სწორად გააზრებაზე. ასევე მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური პროცესების რეალიზებისთვის პასუხისმგებელი პირების გამოყოფა და შესაბამისი საქმიანობისთვის სამართლებრივი უზრუნველყოფა შიდა რეგულაციებით,

ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორცაა:

- უწყვეტი განვითარება;
- გამჭვირვალობა;
- ანგარიშვალდებულება.

ხარისხის უზრუნველყოფა არამხოლოდ ერთი სტრუქტურული ერთეულის/სამსახურის პირის პასუხისმგებლობაა, არამედ აკადემიის მთელი გუნდის - ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და ყველა იმ პირის, რომელიც ჩართულია საერთო მიზნის მიღწევაში. აქედან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება კოლეგიალურ შეფასებას. ხარისხის მართვა კი გამჭოლად ინტეგრირებულია ყველა პროცესში. ერთადერთი რამ, რაც ხარისხის მართვის პროცესს განასხვავებს სხვა პროცესებისგან არის ის, რომ თავად ამ პროცესის შეფასება ხორციელდება ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესის ფარგლებში.

მნიშვნელოვანია დეტალურად იქნას გააზრებული იმ ძირითადი და დამხმარე პროცესების აქტივობები, რომელიც ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება:

სტრატეგიული დაგეგმვა მოიცავს შემდეგ პროცესებს:

- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებას;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს და შეფასებას;
- ცვლილებების შეტანას და გაუმჯობესებას.

აკადემიას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომლის შესაბამისადაც, ყოველწლიურად დგინდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმები ექვემდებარება მონიტორინგს/შეფასებას, რაც პროცესების გაუმჯობესებას ემსახურება. სტრატეგიული გეგმის შეფასების დოკუმენტი ანგარიშის სახით იქმნება ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ: ექვს თვეში ერთხელ შეფასებისა და ანგარიშების მიზანია სამოქმედო გეგმის აქტივობების გაანალიზება. ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც დადგენილი პერიოდულობით აკადემიის დირექტორს წარუდგენს ანგარიშს.

გამოვლენილ ხარვეზებში, ნაკლოვანებებში ჩასადრმაველად შესაძლოა გამოყენებული იყოს მონაცემთა შეგროვების დამატებით მეთოდად ინტერვიუ/გამოკითხვა/ფოკუს ჯგუფი, რადგან გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. შესაბამისი კითხვები (სტრუქტურირებული/არასტრუქტურირებული) მუშავდება საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება.

პროგრამების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების) შემუშავება/დანერგვა/განვითარება;

- **პროგრამების დაგეგმვა** - პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება ეფუძნება შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგებს;
- **ახალი პროგრამების დამატება** - პროგრამული ნაწილის მომზადება, პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა;
- **პროგრამებში ცვლილებების შეტანა** - საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების შესაბამისად, ცვლილებების განხორციელება;
- **პროგრამების შეფასების მიზნით კვლევების ჩატარება** - პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, სამიზნე ჯგუფები შეიძლება იყოს პროფესიული განათლების მასწავლებლები / მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებლები,

პროფესიული სტუდენტები/ მსმენელები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პრაქტიკის ობიექტები და ა.შ.);

- **მტკიცებულებათა ვერიფიკაცია** - მტკიცებულებათა ვერიფიკაცია პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით; (გაწერილია დანართის N12 სახით)
- **მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრა** - მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, შეფასების განხორციელება.

პროგრამების განვითარების მიზნით, ხორციელდება გამოკითხვა, მონაცემების შეგროვება და ანალიზი. პროგრამების განვითარება გულისხმობს პროგრამებში შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭირო ცვლილებების განხორციელებას: სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის, გამოყენებული ლიტერატურის, სწავლის შედეგების და ა.შ. მოდიფიცირებას. დაგეგმილია პროგრამების შეფასება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემოთავაზებული შეფასების წესით, რომელიც დამკვიდრდება პრაქტიკაში და აკადემია განახორციელებს შეფასებისთვის აუცილებელ აქტივობებს.

სწავლა/სწავლების პროცესის ორგანიზება/მონიტორინგი;

სასწავლო პროცესის ორგანიზება მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- სასწავლო პროცესის დაგეგმვა (სასწავლო გეგმა, კალენდარული გეგმა) პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით;
- სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალისა და ნედლეულის გამოყენების და ნარჩენების მართვის წესებს;
- სასწავლო პროცესის საჭირო მასალითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმს;
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება (დასწრებას საკონტაქტო საათზე);
- პრაქტიკული კომპონენტის შეფასება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება;
- სტუდენტთა შეფასება.

პროცესში ხორციელდება მონაცემების პერიოდული შეგროვება, რაც ითვალისწინებს სასწავლო საქმიანობაში ჩართული პირების საკონტაქტო/შეფასების საათებზე დასწრებას და კალენდარულ გეგმებთან შედარებას, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის შეფასებას, სტუდენტის/მსმენელისა და პროფესიულ მასწავლებელს შორის არსებულ აქტივობების/დამოკიდებულების, ჩართულობის შეფასებას, სტუდენტთა გამოკითხვას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენას, სისუსტეების იდენტიფიცირებას და სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების მუდმივ შეფასებას, განვითარებას და მიღებული შედეგების გაუმჯობესების ხელშეწყობის უწყვეტად

განვითარებას. პროცესი ასევე ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით გაწერილი ვადების გათვალისწინებით.

სტუდენტთა/მსმენელთა კორპუსის მართვა;

სტუდენტთა კორპუსის მართვის პროცესი მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის პროცედურებს;
- გარე და შიდა მობილობის პროცედურებს;
- კვალიფიკაციის მინიჭების და საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის პროცედურებს;
- ფორმალური განათლების აღიარების პროცედურებს;
- არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურებს;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს;
- პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებების მომზადებას/გაფორმებას;
- მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრას.

გარდა ზემოაღნიშნული პროცესებისა, აკადემია ითვალისწინებს მსმენელთა მართვის პროცესებს, რაც უკავშირდება:

- მსმენელთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის პროცედურებს;
- მსმენელთა ხელშეკრულებების მომზადებას/გაფორმებას;
- პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის მსმენელთა უზრუნველყოფის მექანიზმებს;
- სერტიფიკატის გაცემის პროცედურებს;

აკადემიაში ხორციელდება მონაცემების პერიოდული შეგროვება. პერიოდულად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა გამოკითხვა სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც უკავშირდება პროგრამების განხორციელებას, სტუდენტურ საჭიროებებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, კმაყოფილების დონეს, აკადემიის მიერ ავტორიზაციის ცალკეულ სტანდარტების დაკმაყოფილებას და სხვა. გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, სასწავლო კორპუსის მართვასთან დაკავშირებული რეგულაციები, სასწავლო პროცესის გამართულად ორგანიზების მიზნით, ექვემდებარება გადახედვას პროცესების სრულყოფის/გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფა და მართვა

ხარისხის შიდა უზრუნველყოფა არის: ციკლური ხასიათის და წარმოადგენს მტკიცებულებების მისაღებად სისტემატურ, უწყვეტ და დოკუმენტირებულ პროცესს; ხარისხის შიდა პროცესების დოკუმენტირებისთვის და მისი ეფექტურად წარმართვისთვის წინასწარ ყალიბდება კრიტერიუმები, რომელთან უნდა იქნას შედარებული მტკიცებულება, ანუ, ჩანაწერები, ხარისხობრივი ან/და რაოდენობრივი მაჩვენებლები. პროცესის განხორციელებამდე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ იქმნება გეგმა, რომელიც აღწერს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის შესაბამის საქმიანობებს და მოსამზადებელ სამუშაოებს, ასევე განსაზღვრავს რისკებსა და შესაძლებლობებს კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებით. თეგეტა აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა პროცესებზე ორიენტირებულ მიდგომას აღიარებს და პროცესზე დაფუძნებული მართვის მოდელზე გადადის. აღნიშნული მოდელის კომპონენტებია:

- დაგეგმვა
- მომზადება
- შესრულება
- ანგარიშგება
- გადამოწმება და შესწორების შეტანა
- დოკუმენტირება

დემინგის ციკლის შესაბამისად, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემისთვის **სქემა N1-ში** გაწერილია:

- ა) დაგეგმვის პროცესების ამსახველი საქმიანობები და შესაბამისი პროცედურები;
- ბ) განხორციელების აქტივობების გეგმა, შესაბამისი პასუხისმგებელი პირებითა და დროის მითითებით;
- გ) სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის ნიშნულების შესრულების მონიტორინგისა და შეფასებების პერიოდულობა, ფორმატი/ფორმები და მეთოდები;
- დ) გაუმჯობესების ეტაპისთვის გამოყენებული და შეფასების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების შესაბამისი ანალიზის შედეგები, წარუმატებლობის ან წარმატების გამომწვევი იდენტიფიცირებული ფაქტორები;

თეგეტა აკადემიაში მიმდინარე პროცესების შეფასება სქემატურად, შესაძლოა გამოხატული იყოს **სქემა N2-ის** შესაბამისად;

გარდა პროცესების შესრულების მასშტაბური გეგმისა, თითოეული პროცესისთვის, საჭიროების შემთხვევაში, სურვილისამებრ, შესაძლოა გამოყენებულ იქნას, ცალკე **სქემა-N3**, რომლის მიხედვით შესაძლოა ჩამოყალიბდეს თითოეული პროცესისთვის ცალკე პროცესის შესრულების კრიტერიუმები და რაც შესაბამისი პირობითი ნიშნების გამოყენებით **სქემა N4-ის** მიხედვით გამოყენებული იქნება პროცესებზე ორიენტირებული საერთო სურათის შესაქმნელად.

აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის მიზნებისთვის შესაბამის პროცესებს წარმართავს შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები ან/და პირები (ცხრილი N1), აკადემიის მიერ დადგენილი ვადების შესაბამისად.

N	პროცესი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/ პირი	განხორციელების პერიოდი
სავალდებულო პროცესები			
1	მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული დაგეგმარება, წლიური გეგმების შემუშავება	დირექტორი; დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი	კალენდარული წლის დასაწყისი
2	სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება	ხარისხის მართვის მენეჯერი	7 წელი (2022,2024,2026) (სტრატეგიული გეგმა) / ყოველწლიური (სამოქმედო გეგმა)
3	პროგრამების შემუშავება	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	კალენდარული წლის პირველი კვარტალი
4	ავტორიზაციის/პროგრამის დამატების პროცესის კოორდინაცია	ხარისხის მართვის მენეჯერი	საჭიროების შესაბამისად
5	სასწავლო პროცესის (პროგრამის განხორციელების) დაგეგმვა და კოორდინაცია	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	კალენდარული წლის მანძილზე
6	პარტნიორ საწარმოსთან კომუნიკაცია, პრაქტიკული სწავლების კოორდინაცია	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	კალენდარული წლის მანძილზე
7	შეფასების პროცესის დაგეგმვა, კოორდინაცია, მტკიცებულებათა აღრიცხვა და შენახვა	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, საქმისწარმოების სპეციალისტი	კალენდარული წლის მანძილზე
8	პროგრამაზე სტუდენტთა მიღების გამოცხადება, სტუდენტთა მართვა	დირექტორი, დირექტორის მოადგილე	კალენდარული წლის მანძილზე
9	პროგრამაზე მსმენელთა მიღების გამოცხადება,	დირექტორი, დირექტორის მოადგილე	კალენდარული წლის მანძილზე
9	მატერიალური რესურსებით (ტექნიკური აღჭურვილობა და მასალა-ნედლეული) უზრუნველყოფა, შესყიდვა, ლოჯისტიკა	დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი	კალენდარული წლის მეოთხე კვარტალი

10	შენობის და ინვენტარის მოვლა, საჭიროების შემთხვევაში მისი შეკეთების უზრუნველყოფა	დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელი პირი	კალენდარული წლის მანძილზე
11	ფინანსური რესურსების მართვა	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი	კალენდარული წლის მანძილზე
12	ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისწარმოების მენეჯერი	კალენდარული წლის მანძილზე
13	მასწავლებელთა მართვა, პროფესიული განვითარება	დირექტორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	კალენდარული წლის მანძილზე
14	ხარისხის შიდა უზრუნველყოფა	ხარისხის მართვის მენეჯერი	კალენდარული წლის მანძილზე
15	საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა	დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ბიბლიოთეკარი	კალენდარული წლის მანძილზე
16	შშმ/სსსპ პირთა მომსახურება	საჭიროების/არსებობის შემთხვევაში ინკლუზიური განათლების სპეციალისტი	კალენდარული წლის მანძილზე საჭიროების შემთხვევაში
17	ინდივიდუალური სასწავლო გეგმების უზრუნველყოფა	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხემძღვანელი, მასწავლებელი, ხარისხის მართვის მენეჯერი/ (საჭიროების შემთხვევაში: ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი)	კალენდარული წლის მანძილზე (საჭიროებისამებრ)
18	ფორმალური განათლების აღიარება	დირექტორი, დირექტორის მოადგილე	კალენდარული წლის მანძილზე
19	სტუდენტების შიდა და გარე მობილობა	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	მობილობის შესაბამის პერიოდში
20	პერსონალურ მონაცემთა დაცვა	რეესტრის მწარმოებელი, IT სპეციალისტი, საქმისწარმოების სპეციალისტი	კალენდარული წლის მანძილზე

21	შრომის უსაფრთხოების დაცვა; საგანგებო სიტუაციების მართვა; წესრიგის დაცვა; პირველადი გადაუდებელი დახმარება	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი	კალენდარული წლის მანძილზე
22	სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები (მ.შ. პროფორიენტაცია, კონსულტირება, ინფორმირება, ექსტრაკურიკულური აქტივობების მხარდაჭერა)	კარიერის მართვის მენეჯერი	კალენდარული წლის მანძილზე
23	სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერა, კურსდამთავრებულთა შესახებ კვლევის განხორციელება;	კარიერის მართვის მენეჯერი	კალენდარული წლის მანძილზე
24	სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა	მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი	კალენდარული წლის მანძილზე
25	საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვა და განვითარება	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი	კალენდარული წლის მანძილზე
26	ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი	კალენდარული წლის მანძილზე
27	საზოგადოებასთან ურთიერთობა	რეესტრის მწარმოებელი, მარკეტინგის მენეჯერი	კალენდარული წლის მანძილზე
28	საქმისწარმოება	საქმისწარმოების სპეციალისტი	კალენდარული წლის მანძილზე
29	კვლევების ჩატარება	ხარისხის მართვის მენეჯერი, კარიერის მართვის მენეჯერი	კალენდარული წლის მანძილზე
30	ზრდასრულთა განათლება (მომზადება-გადამზადება)	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, რეგიონალური მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	კალენდარული წლის მანძილზე
33	აკადემიის თანამშრომელთათვის, სტუდენტებისა და მსმენელებისთვის შრომითი უნარების/პროფესიული განვითარების პროგრამების შეთავაზება	კარიერის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორი	კალენდარული წლის მანძილზე

უსაფრთხოება, წესრიგისა და ჰიგიენის ნორმების დაცვა;

მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს;
- წესრიგის დაცვის მექანიზმებს;
- ჰიგიენის დაცვის მექანიზმებს;
- უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებს (შენობაში, ლაბორატორიებში).

ხორციელდება მონიტორინგი ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა/მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებში, ნაკლოვანებებში ჩასაღრმავებლად შესაძლოა მონაცემთა შეგროვების მეთოდად დამატებით გამოყენებულ იქნას ინტერვიუ/გამოკითხვა, რადგან გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. შესაბამისი კითხვები (სტრუქტურირებული/ არასტრუქტურირებული) მუშავდება საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება.

შეფასებების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. განმეორებითი შეფასების შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);

საქმისწარმოების ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- საქმისწარმოების გამართულ წესს;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მონიტორინგს.

საქმისწარმოების მონიტორინგი ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით დადგენილ ვადებში. ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ანგარიში წარედგინება როგორც ხელმძღვანელს, ისე საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელთან ერთადაც დაიგეგმება ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლო გზები. აღნიშნული მონიტორინგი ასევე ეხება რეესტრის წარმოებას, რეესტრი ასევე მოწმდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში და შედეგის შესაბამისად იგეგმება აქტივობები.

დამხმარე პროცესები:

ადამიანური რესურსის მართვა:

ადამიანური რესურსის მართვა მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- ადამიანური რესურსების მართვას და განვითარებას;
- პერსონალის საქმიანობის შეფასებას;
- ადმინისტრაციული პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროების კვლევა;
- პერსონალის პირად საქმეებს, შემუშავებულ სამუშაო აღწერილობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებებს;
- პერსონალის (მ. შ. პროფესიული განათლების მასწავლებლების) პროფესიულ განვითარებას.

აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს გამოკითხვას ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ანონიმური გამოკითხვის მეშვეობით, დგინება მათი საჭიროებები და გამოვლენილი შედეგების საპასუხოდ ტარდება შესაბამისი ღონისძიებები. აღნიშნული გულისხმობს საჭიროებების გადახედვას და შესაძლებლობების ფარგლებში აკადემიის მხრიდან მის დაკმაყოფილებას, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას და ხელშეწყობას. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე მუშავდება მონაცემები/შედეგები, იგი ადგენს ანგარიშს და წარუდგენს დირექტორს, რაც ხდება საფუძველი იმისა აკადემიას ჰყავდეს კმაყოფილი და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული თანამშრომელი.

გარდა ამისა, ასეთი მიდგომის ფარგლებში ვლინდება კმაყოფილება/უკმაყოფილების საკითხები, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს ფუნქციათა დუბლირებას, პასუხისმგებლობის აღებასა თუ განაწილებას. შესაბამისად, ადამიანური რესურსის მიმართულებით აუცილებელია გამოვლენილ იქნას ნებისმიერი საკითხი აკადემიის მხრიდან შემდგომი რეაგირებისთვის.

მატერიალური რესურსის მართვა

მატერიალური რესურსის მართვა მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- უძრავი ქონების მართვას;
- მოძრავი ქონების მართვას;
- შესყიდვებს (შენახვა/დასაწყობება);

- პროგრამების შესაბამისად აუდიტორიების/თეორიული/პრაქტიკული სივრცის აღჭურვას;
- ადაპტირებული გარემოს მოწყობას/მართვას;
- კომუნიკაციების მართვას (ელ. ენერჯია, წყალი, გათბობა).

აკადემიაში ამ მიმართულებით მონიტორინგი ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით. მონიტორინგი უკავშირდება როგორც პერსონალის, ისე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორების გამოკითხვას მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, თუ რამდენად მაღალი/დაბალია მათი კმაყოფილება რესურსის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ხომ არ საჭიროებს შეცვლას/განახლებას/დამატებას აკადემიის რესურსი, შესაფერისია თუ არა არსებული რესურსი პროგრამასთან და სხვა. შესაბამისი კითხვები (სტრუქტურირებული/არასტრუქტურირებული) მუშავდება საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება. შეფასებების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ კი ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

საინფორმაციო რესურსები/საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესს;
 - ვებგვერდის ადმინისტრირებას.
 - სოციალური ქსელის ადმინისტრირებას;
 - აკადემიის ოფიციალური ელ.ფოსტის/სატელეფონო ნომრის ადმინისტრირებას;
- აღნიშნულის მონიტორინგი ხორციელდება პერიოდულად, რის შესაბამისადაც ინდივიდუალურად წარედგინებათ უკუკავშირი პასუხისმგებელ პირებს.

ფინანსური რესურსის მართვა

ფინანსური რესურსების მართვა მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- ფინანსური ანგარიშგების მექანიზმებს;
- დაფინანსების ძირითადი წყაროების განსაზღვრას;
- დაფინანსების დამატებითი წყაროების განსაზღვრას.

მონიტორინგის კონკრეტული ვადა განისაზღვრება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით. მნიშვნელოვანია შეფასდეს ფინანსური გადაწყვეტილებები გამომდინარეობს თუ არა ფაქტობრივი ბიუჯეტის საპროგნოზო ბიუჯეტთან დადარებისა და დაფინანსების დინამიკის წარმოებით, რაზეც პასუხისმგებელია აკადემიის ფინანსისტი.

სტუდენტთა/მსმენელთა კარიერული განვითარება

კარიერული განვითარება მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- პროფორიენტაციის ღონისძიებების განხორციელება;
- კურსდამთავრებულების კვლევა;
- კვლევის შედეგების ანალიზი;

აკადემიის კარიერის მართვის მენეჯერის მიერ მუდმივად ხორციელდება კარიერული მხარდაჭერა, როგორც სტუდენტების/მსმენელების, ისე კურსდამთავრებულთათვის. აღნიშნული გულისხმობს გამოკითხვას დასაქმებასთან დაკავშირებით, არსებული ვაკანსიების, ტრენინგების, სხვადასხვა შესაძლებლობების შეთავაზებას. აქტიურ სტუდენტებთან/მსმენელებთან ხდება დამატებითი შეთავაზებების წარდგენა, ხოლო კურსდამთავრებულებისთვის დადგენილი პერიოდულობით ხდება დაკავშირება და დასაქმების შესაძლებლობების წარდგენა. ამისათვის აკადემიაში არსებობს როგორც მათი, ისე დამსაქმებელთა ბაზები. აღნიშნული პროცესის მონიტორინგს ითვალისწინებს ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმა და მასში გაწერილი პერიოდულობით ხდება ამ მიმართულების მონიტორინგი.

გამოკითხვის შედეგების საფუძველზე გამოვლენილ ხარვეზებში, ნაკლოვანებებში ჩასაღრმავებლად შესაძლოა მონაცემთა შეგროვების მეთოდად დამატებით გამოყენებულ იყოს ინტერვიუ/ გამოკითხვა, რადგან გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

საბიბლიოთეკო სერვისები

საბიბლიოთეკო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს:

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს;
- ელექტრონული კატალოგის ადმინისტრირებას;
- საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებულ საბიბლიოთეკო რესურსებს;
- საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვას (ინვენტარიზაციით);
- პროგრამების ძირითად ლიტერატურასთან საბიბლიოთეკო რესურსების შესაბამისობას;
- პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნების გათვალისწინებით საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებაზე ზრუნვას;
- მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრას.

მონიტორინგი ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით. ამ პერიოდში დამატებით გამოიკითხებიან სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებლები.

იმ შემთხვევაში თუ შეფასებების საფუძველზე გამოვლინდა უკმაყოფილება, გატარდება შესაბამისი ღონისძიებები.

მართვის პროცესები

ხარისხის უზრუნველყოფის მიზანია განახორციელოს ღონისძიებები ორგანიზაციული მართვის პროცესების და ამ პროცესებში გამოყენებული მარეგულირებელი დოკუმენტების შესაფასებლად. ორგანიზაციული სტრუქტურა, ფუნქციების განაწილება და შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები უზრუნველყოფს აკადემიის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, რაც გულისხმობს ამოცანის შესასრულებლად მართვის თითოეული რგოლის უფლებების და პასუხისმგებლობების განსაზღვრას და მართვის რგოლებს შორის ფუნქციების რაციონალურ განაწილებას მათი საქმიანობის ერთიანი კოორდინაციის გათვალისწინებით. ამ მიზნით მნიშვნელოვანია შეფასდეს პროცესები, ხოლო შემდეგ განხორციელდეს ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი და გამოვლინდეს ის ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობაზე, კომპეტენტურობასა და მართვის პროცესის გამჭვირვალობაზე. ამ მიმართულებით პერიოდულად ის მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლითაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია-მოვალეობები, ის რეგულაციები, რომლითაც ხორციელდება პროცესები, რადგან ხარისხის უზრუნველყოფა რეგულაციების შეფასების გარეშე არ არსებობს.

კვლევის მეთოდები აკადემიაში

აკადემიაში ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა მიმართულების შეფასებისა თუ ნაკლოვანებების გამოსაკვეთად ხშირად გამოიყენება კვლევის მეთოდი. კვლევის სამიზნე ჯგუფებია: აკადემიის პერსონალი, პროფესიული სტუდენტები, მსმენელები, პროგრამის განმახორციელებლები, პარტნიორი ორგანიზაციები, კურსდამთავრებულები. კვლევის მიზანი შესაძლოა სხვადასხვა იყოს. მაგ. პერსონალის გამოკითხვისას მათი საჭიროებების გამოვლენა, სტანდარტების შეფასებისას შესაბამისობის დადგენა და, არსებობის შემთხვევაში, ხარვეზების გამოკვეთა, ხოლო შემდგომში მისი აღმოფხვრა, პროგრამების შეფასებისას კვლევის მიზანია აკადემიის პროფესიული სტუდენტებისგან/მსმენელებისგან მოპოვებულ იქნას ცალკეული პროგრამის(მათ შორის მომზადება გადამზადების პროგრამის) მოდულების/სწავლის

შედეგების განხორციელებასთან დაკავშირებით ინფორმაცია და კვლევის შედეგად მიღებული შედეგები გამოყენებულ იყოს პროგრამების განვითარება/სრულყოფისთვის, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს, კურსდამთავრებულთა დასაქმებას და აკადემიის პოპულარობის ზრდას. მნიშვნელოვანია, რომ აკადემიას შემუშავებული აქვს კითხვარები ავტორიზაციის სტადარტების შესაბამისად, რომელსაც იყენებს როგორც პერსონალთან, ისე სტუდენტებთან/მსმენელებთან. გარდა ამისა, აკადემია გეგმავს გამოიყენოს „ანონიმური ყუთი“, რომელიც განთავსდება აკადემიის სივრცეში და ყველა მსურველს ექნება საშუალება გამოხატოს საკუთარი მოსაზრება და შეხედულება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ამ გზით იკვეთება ისეთი ასპექტები, რომელზეც შესაძლოა ვერ გამახვილდეს ყურადღება კონკრეტულ კითხვარში, არ მოიცავდეს გამოკითხვა ან ეხებოდეს ისეთ საკითხს, რომელიც უცნობია კითხვარის შემუშავების დროს და სხვა. შესაბამისად, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ აკადემიაში მარტივად ხდება აზრის დაფიქსირება ნებისმიერ საკითხზე როგორც პირდაპირ, ისე ანონიმურად.

კვლევის ფარგლებში ხშირად გამოყენებულია შერეული (რაოდენობრივი და თვისებრივი) კვლევის მეთოდი, რათა უფრო სრულყოფილად მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება.

შერჩევა

კვლევის ჩატარებამდე მნიშვნელოვანია სწორად შეირჩეს კვლევის სტრატეგია, ზომა და ითვალისწინებდეს სამიზნე ჯგუფს, რათა კვლევის მიზანი იყოს მიღწეული, კერძოდ, გავიდეთ კონკრეტულ შედეგზე და მივიღოთ ის, რა მიზნითადა დაიგეგმა კვლევის ჩატარება.

სტუდენტთა/მსმენელთა გამოკითხვის დროს შერჩევა მოხდება ალბათური მეთოდით. გამოკითხვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სტატუსის მქონე სტუდენტთა/მსმენელთა 80%-მა.

პროგრამების განმახორციელებელი პირების, პროგრამის ხელმძღვანელების და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შერჩევისას გამოყენებულია არაალბათური შერჩევა, ხოლო შერჩევის ტიპად - მიზნობრივი შერჩევა. რაც გულისხმობს, რომ შერჩევა კონკრეტული მიზნისთვის არის არჩეული. შესაბამისად, კვლევისთვის მნიშვნელოვანია ყველა განმახორციელებელი პირის ჩართულობა, რადგან იგი მოგვცემს საშუალებას მივიღოთ ინფორმაცია იმ ადამიანებისგან, რომლებმაც თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე ბევრი იციან საკვლევი საკითხის შესახებ.

ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვისას, მათი რაოდენობიდან გამომდინარე, სასურველია სრული ჩართულობა, რათა საერთო სურათი გახდეს ცნობილი და სისტემურად დაიგეგმოს გადასადგმელი ნაბიჯები.

მონაცემთა შეგროვების მეთოდები

მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. თვისებრივი მეთოდი გვამძლევს ინფორმაციას კონტექსტზე, კონკრეტულ ადამიანებსა და გარემოზე, თუმცა მიგნებებს ვერ განვაზოგადებთ, რადგან ისინი მხოლოდ იმ კონკრეტულ ადამიანებზე ვრცელდება. რაოდენობრივი მეთოდი კი გვამძლევს რიცხვებით გამოხატულ მაჩვენებელს ადამიანთა გარკვეულ რაოდენობაზე.

კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების შემდეგი მეთოდები შეიძლება იქნას გამოყენებული:

- გამოკითხვა;
- ინტერვიუ;
- დაკვირვება.

გამოკითხვა - გამოიყენება სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც მოიცავს როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს. კვლევის ძირითადი ამოცანების შესწავლისთვის დახურული კითხვების გამოყენება განპირობებულია რაოდენობრივი მონაცემების მიღების საჭიროებით, ხოლო ღია კითხვები კვლევის მონაწილეებს საკუთარი სიტყვებით - პასუხების აღწერის, ახსნისა და შეფასების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, კვლევის მონაწილეები არ არიან შეზღუდულები პასუხების წინასწარ განსაზღვრული კატეგორიებით. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, რესპოდენტებს, კითხვარის ბოლოს, შესაძლებლობა ეძლევათ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული კითხვარში და სურვილი ჰქონდათ გამოეხატათ პოზიცია/მოსაზრება, ამისათვის კითხვარში არსებობს ცარიელი უჯრა შესაბამისი მითითებით. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებელთა შემთხვევაში გამოიყენება გამოკითხვა.

მნიშვნელოვანია პროფესიული სტუდენტებისგან შეფასდეს: მოდულის განმახორციელებელი პირების კომპეტენცია, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, სასწავლო გარემოს ადეკვატურობა და საგანმანათლებლო/მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობა, ინფორმირების ხარისხი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტისა და სტუდენტთა მხარდაჭერი ღონისძიებების შესახებ, საწარმოო პრაქტიკის განხორციელება, ინსტრუქტორების შეფასება, ადმინისტრაციული მხარდაჭერა და სხვა, სწორედ აღნიშნულ საკითხებს უკავშირდება

ჩატარებული გამოკითხვა. რაც შეეხება მსმენელებს, მიზანშეწონილია გამოკითხვა ჩატარდეს პროგრამის შესახებ, პროგრამის განმახორციელებლის, სასწავლო და მატერიალური რესურსის, გარემო პირობების, თეორიულ/პრაქტიკული სივრცეების, პარტნიორი ორგანიზაციისა და სხვა საჭიროებების შესახებ.

პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ინსტრუქტორები, მომზადება/გადამზადების პროგრამების განმახორციელებლები აფასებენ პროგრამას, პროგრამის დაგეგმვასთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებს, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსების ადეკვატურობასა და ხელმისაწვდომობას, ხოლო საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციები აფასებენ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ გამოვლენილ უნარებს.

აკადემია ძირითადად მიმართავს ელექტრონული გამოკითხვის მეთოდს (Google Forms-ფორმატი). შესაბამისად, კითხვარის შევსება რესპოდენტისთვის მოსახერხებელ დროსა და გარემოცვაში არის შესაძლებელი, რაც საჭიროების შემთხვევაში მას ინფორმაციის გადამოწმების და პასუხებზე დაფიქრების შესაძლებლობას მისცემს. ელექტრონული გამოკითხვის შემთხვევაში, რესპოდენტებს შესავსებად ეძლევათ გონივრული ვადა კითხვარის შინაარსის და ზომის შესაბამისად. აღნიშნულის შესახებ წინასწარ ეცნობებათ კითხვარის გაგზავნის და მისი შევსების პირობებთან დაკავშირებით.

ინტერვიუ - ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია დადგეს ინტერვიუს ჩატარების აუცილებლობა. საჭიროების შემთხვევაში, მის მიზანს წარმოადგენს უფრო მეტად ჩავუღრმავდეთ საკვლევ საკითხს და გავიგოთ მეტი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით არის შესაძლებელი გამოვლენილი პრობლემის დაძლევა, ან აღმოფხვრა. ინტერვიუსთვის კითხვები მუშავდება საკვლევ საკითხიდან გამომდინარე, მას შემდეგ, როცა ამის საჭიროება დადგება.

დაკვირვება - აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერი/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი პერიოდულად ახორციელებს საკონტაქტო საათებზე დასწრებას. საკონტაქტო საათზე დაკვირვების მიზანს წარმოადგენს იმის ნახვა, თუ რეალურად როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, რათა მოხდეს პროგრამების დანერგვის/ განხორციელების მიმდინარეობისას ხარვეზებისა და უპირატესობების გამოვლენა, რაც შესაძლებელს გახდის გაკეთდეს გაუმჯობესებისთვის საჭირო დასკვნები და შემდგომ განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

მონაცემთა შეგროვების აღნიშნული მეთოდები მიზნად ისახავს მოპოვებულ იქნას ინფორმაცია ყველა სამიზნე ჯგუფიდან და მოძიებულ იქნას ის გზები თუ საშუალებები, რომლებიც განაპირობებს და უზრუნველყოფს პრობლემის იდენტიფიცირებას და დაგეგმილი ინტერვენციების მეშვეობით პროგრამების განვითარებას.

ეთიკური მოსაზრებები

აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებულია ეთიკური მოსაზრებები. კერძოდ:

- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა და კვლევაში მონაწილეობა არის სურვილი;
- გარკვეული სამიზნე ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და ანონიმური, შესაბამისად გამორიცხულია მისი გამჟღავნება ნებისმიერი სახით.

მონაცემთა ანალიზი და რეაგირება


ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს პერიოდულ გამოკითხვას, რის საფუძველზეც შეისწავლის და აანალიზებს სამიზნე ჯგუფების გამოკითხვისა და დაკვირვების მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით. კვლევა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში სხვადასხვა მიმართულებით. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შეფასებისთვის გამოკითხვა ტარდება მინიმუმ ერთხელ, პროგრამის დასრულებისას, რათა სწორად დადგინდეს და შეფასდეს პროგრამის განხორციელების ხარისხი და გათვალისწინებულ იქნას შემდგომში განხორციელების ეტაპისთვის. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამებს მეტი ინტენსივობით არის მიზანშეწონილი გამოკითხვა და შედეგების გაზიარება. გარდა პროგრამის შეფასებისა, სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილების კვლევა აუცილებლად ხორციელდება ყველა პროგრამის მიმდინარეობისას ინდივიდუალურად და ა.შ. (თითოეული მიმართულების/მიზნის კვლევის ჩატარების პერიოდულას განსაზღვრავს ხარისხის მართვის მენეჯერი) განხორციელებული კვლევის ანგარიში კი საბოლოოდ წარედგინება დირექტორს და საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმება გასატარებელი ღონისძიებები.

ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული ანგარიში განიხილება დირექტორის მოადგილესთან, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან, პრაქტიკის ინსტრუქტორებთან/მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებლებთან, გამოკითხვის შინაარსიდან გამომდინარე, რომლებსაც პროგრამების განვითარების მიზნით მიეწოდებათ ხარვეზების აღმოფხვრის გზებზე ინფორმაცია.


ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესები და მათი შესრულების მონიტორინგის/შეფასების სქემა

დირექტორი						
დირექტორის მოადგილე						
ხარისხის მართვის მენეჯერი						
პროცესი1.						
პროცესი2.						
პროცესი3.						
პროცესი4.						


პროცესების შეფასებისთვის წინასწარ, დაგეგმვის ეტაპზე განისაზღვრება:

- პროცესის შესრულების ინდიკატორი; 
- პროცესების შემოწმების პერიოდულობა;

ექვს თვეში ერთხელ - 

წელიწადში ერთხელ - 

თვეში ერთხელ - 

კვარტალში ერთხელ - 

- პროცესზე პასუხისმგებელი პირი/ები;

აკადემიაში მიმდინარე პროცესების შეფასება სქემატურად

პროცესის სახეები	შემაჯავლი პროცესები	შედეგი (output)	პასუხისმგებელი პირი (process owners) - პროცესის მფლობელი	პროცესის კრიტერიუმები
მმართველობითი				
ძირითადი				
დამატებითი				

სქემა N3.


ცალკე პროცესების განხორციელების გეგმა


პროცესის დაგეგმვა		
შეადგინა:		
თანამდებობა:		
თარიღი:		დღე / თვე / წელი
პროცესი 1 <i>(მიუთითეთ პროცესის დასახელება)</i>		
% შესრულება	აქტივობა	აღწერილობა / კომენტარი
0.0%	პასუხისმგებელი პირი/ები	
0.0%	კავშირები სხვა პროცესებთან	
0.0%	ანგარიშვალდებულება	

0.0%	პროცესის აღწერა	
0.0%	რისკები	
0.0%	პროცესის საწყისი მონაცემები (input)	
0.0%	პროცესში შექმნილი მტკიცებულებები	
0.0%	პროცესის შედეგები (output)	
0.0%	ადამიანური რესურსი	
0.0%	სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები	
0.0%	მდგრადობა	

სქემა N4.

პროცესების სქემისთვის პირობითი ნიშნები





კითხვარის ფორმები მოცემულია დანართებად.

დანართი 1- ადმინისტრაციის კითხვარი ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების მიზნით

დანართი 2- პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით

დანართი 3- პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის I, III, IV და V სტანდარტის შეფასების მიზნით

დანართი 4 - პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით

დანართი 5 -პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის I, III, IV და V სტანდარტის შეფასების მიზნით

დანართი 6 - დუღური პროგრამების ინსტრუქტორის კითხვარი

დანართი 7 - კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის

დანართი 8 - პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების მიზნით

დანართი 9 - პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით

დანართი 10 - მსმენელის კითხვარი

დანართი 11 - მომზადება/გადამზადების განმახორციელებელი პირის კითხვარი

დანართი 12 - ვერიფიკაციის მექანიზმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველ სტანდარტთან მიმართებით

მოგესალმებით!

ამ კითხვარის საშუალებით შეფასდება კოლეჯის შესაბამისობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველ სტანდარტთან შესაბამისობაში.

თქვენი შეფასებები არის კონფიდენციალური, ის მხოლოდ კვლევის ჯგუფის მიერ იქნება გამოყენებული განზოგადებული სახით, ხარვეზების გამოსავლენად, პროგრამისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ახალი სამოქმედო ინსტრუქციების შესაქმნელად.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ კითხვარში მოცემულ ყველა შეკითხვას და რაც შეიძლება ზუსტი, გულახდილი პასუხები გასცეთ.

გახსოვდეთ, რომ კითხვარში არ არის სწორი და არასწორი პასუხები. მნიშვნელოვანია მხოლოდ თქვენი აზრის დაფიქსირება. ამიტომ, უპასუხეთ დასმულ კითხვებს ისე, როგორც თქვენ მიგაჩნიათ სწორად.

წინასწარ გიხდით მადლობას კითხვარის შევსებისა და აზრის გაზიარებისთვის!

A. მისია და სტრატეგიული განვითარება

A.1. რამდენად იცნობთ ჩვენი კოლეჯის მისიას?

1. კარგად
2. საშუალოდ
3. ცუდად
4. საერთოდ არ ვიცნობ

„კარგად“ ან „საშუალოდ“ პასუხის შემთხვევაში გადადით შემდეგ შეკითხვაზე.

A.2. თქვენი აზრით, რამდენად პასუხობს ჩვენი კოლეჯის საქმიანობა მის მიერ გამოცხადებულ მისიას?

1. სავსებით პასუხობს
2. მეტწილად პასუხობს
3. არ პასუხობს
4. მიჭირს პასუხი

A.3. თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელი მიზნებია დეკლარირებული ჩვენი მისიით?

გთხოვთ, მონიშნოთ ერთი ან რამდენიმე პასუხი.

1. ხარისხიანი განათლების მიწოდება სტუდენტებისთვის
2. თანამედროვე შრომის ბაზრისთვის საჭირო უნარების განვითარება
3. შრომის ბაზრისთვის კვალიფიციური კადრების (სტუდენტების) მომზადება
4. პროფესიების პოპულარიზაცია
5. პროფესიული განათლების პოპულარიზაცია
6. სტუდენტების ზოგადი კომპეტენციების განვითარება
7. სტუდენტური ცხოვრების განვითარება
8. სტუდენტების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა
9. კერძო სექტორთან/დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა რეგიონის/მუნიციპალიტეტის/ქალაქის განვითარება რეგიონის/მუნიციპალიტეტისთვის საჭირო კადრების მომზადება
10. სხვა: *გთხოვთ, მიუთითოთ*

A.4. რამდენად იცნობთ ჩვენი კოლეჯის ხედვასა და ღირებულებებს?

1. კარგად
2. საშუალოდ
3. ცუდად
4. საერთოდ არ ვიცნობ

„კარგად“ ან „საშუალოდ“ პასუხის შემთხვევაში გადადით შემდეგ შეკითხვაზე.

A.5. ჩამოთვლილთაგან, რა გზებით მიიღეთ ინფორმაცია ჩვენი მისიის, ხედვისა და ღირებულების შესახებ?

გთხოვთ, მონიშნოთ ერთი ან რამდენიმე პასუხი.

1. ღია კარის დღეებიდან და სხვა გაფართოებული ღონისძიებებიდან
2. განხორციელებული პროექტებიდან
3. შენობაში გამოკრული საინფორმაციო ბანერებიდან და ბეჭდური მასალიდან
4. კოლეჯის ვებგვერდიდან
5. კატალოგიდან
6. სტრატეგიული განვითარების გეგმიდან/გეგმაზე მუშაობის პროცესში
7. მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კომუნიკაციისას
8. არცერთი წყაროდან არ მიმიღია ინფორმაცია
9. სხვა: *გთხოვთ მიუთითოთ* _____

A.6. რამდენად იყავით ჩართული ჩვენი კოლეჯის მისიის, ხედვის ან/და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში?

1. აქტიურად ვიყავი ჩართული
2. მეტნაკლებად ვიყავი ჩართული
3. არ ვყოფილვარ ჩართული
4. მიჭირს პასუხი

თუ იყავით ამ პროცესებში ჩართული გთხოვთ, გადადით შემდეგ შეკითხვაზე

A.7. გთხოვთ, განმარტოთ, რა ფორმით იყავით ჩართული მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში.

A.8. რამდენად იყავით ჩართული ჩვენი კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა ან/და შეფასების პროცესში?

1. აქტიურად ვიყავი ჩართული
2. მეტნაკლებად ვიყავი ჩართული
3. არ ვყოფილვარ ჩართული
4. მიჭირს პასუხი

თუ იყავით ამ პროცესებში ჩართული გთხოვთ, გადადით შემდეგ შეკითხვაზე

A.9. გთხოვთ, განმარტოთ, რა ფორმით იყავით ჩართული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა ან/და შეფასების პროცესში.

გთხოვთ, უპასუხოთ შეკითხვების იმ ნაწილს, რომელ პროცესშიც/პროცესებშიც მიგიღიათ მონაწილეობა.

A.9.1 რამდენად გასაგები იყო თქვენთვის სტრატეგიული დაგეგმარების შემდეგი ასპექტები

გთხოვთ, მონიშნოთ	სრულიად გასაგები	მეტწილად გასაგები	მიჭირს პასუხი	მეტწილად გაუგებარი	სრულიად გაუგებარი
სტრატეგიული გეგმის გადახედვის პროცედურები					
სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის პროცედურები					
სტრატეგიულ გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების პროცედურები					

A.9.2 რამდენად გასაგები იყო თქვენთვის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემდეგი ასპექტები

გთხოვთ, მონიშნოთ	სრულიად გასაგები	მეტწილად გასაგები	მიჭირს პასუხი	მეტწილად გაუგებარი	სრულიად გაუგებარი
სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის განხორციელების პროცედურები					
სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ანგარიშების წარდგენის/განხილვის პროცედურები					

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პოზიციები					
---	--	--	--	--	--

A.9.3 რამდენად გასაგები იყო თქვენთვის სტრატეგიული გეგმის შეფასების მეთოდოლოგიის შემდეგი ასპექტები

გთხოვთ, მონიშნოთ	სრულიად გასაგები	მეტწილად გასაგები	მიჭირს პასუხი	მეტწილად გაუგებარი	სრულიად გაუგებარი
სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შეფასების პროცედურები					
სტრატეგიული გეგმის შეფასების შედეგებზე რეაგირების პროცედურები					
სტრატეგიული გეგმის შეფასებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პოზიციები					

A.10. რამდენად გაეცანით ჩვენი კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს?

1. დიახ, გავეცანი შესრულების ანგარიშს
2. ვერ გავეცანი შესრულების ანგარიშს, რადგან დოკუმენტი არ იყო საჯარო
3. შესრულების ანგარიში საჯარო იყო, თუმცა ვერ გავეცანი
4. არ დავინტერესებულვარ აღნიშნული საკითხით

„დიახ“ პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, უპასუხოთ მომდევნო შეკითხვას.

A.11. ჩამოთვლილთაგან, რა ფორმით მიიღეთ ინფორმაცია სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ?

1. კოლეჯის ვებგვერდის საშუალებით
2. კოლეჯის სოციალურ მედიის საშუალებით
3. დოკუმენტის საჯარო განხილვის ფარგლებში (პირისპირ ან/და ონლაინ)
4. სხვა

კითხვარი პროფესიული სტუდენტებისთვის

მოგესალმებით!

ქვემოთ წარმოდგენილი კითხვარის მიზანია, გავიგოთ თქვენი აზრი მოდულური სწავლების და ცალკეული მოდულების შესახებ.

კვლევის ფარგლებში, თქვენი შეფასებები არის კონფიდენციალური, ის მხოლოდ კვლევის ჯგუფის მიერ იქნება გამოყენებული შეჯამებული სახით, ხარვეზების გამოსავლენად, პროგრამისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ახალი სამოქმედო ინსტრუქციების შესაქმნელად.

